



## ცვლილება ბრძანებაში

### შინაარსი

- ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა
- გადახდის წყაროსთან დასაკავებელი საგადასახადო დეკლარაციის შევსების წესი

### ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა

2024 წლის 4 ნოემბერს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის ბრძანება №23106, რომლითაც ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2019 წლის 8 ივლისის №22708 ბრძანებაში - „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნულის შედეგად შეიცვალა დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დაბეგვრის შესახებ მეთოდური მითითება.

### დებიტორული დავალიანება

ცვლილების შედეგად განისაზღვრა ზოგადი დებულებები, ოპერაციები და სპეციალური წესები, რაც ეხება შემდეგს:

- დებიტორული დავალიანების ან/და გადახდილი ავანსის იდენტიფიცირებას
- დებიტორული დავალიანების ან/და ავანსის გადახდის ფაქტის ნამდვილობის დადგენას
- გონივრულ ვადას, რომლის გასვლის შემდგომაც დებიტორულ დავალიანებებთან ან/და გადახდილ ავანსებთან დაკავშირებით შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები
- საგადასახადო ორგანოსთვის წარსადგენი დოკუმენტების შესახებ, თუ შესაბამის ოპერაციაზე სათანადო ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია პირის მიერ წარდგენილია საგადასახადო შემოწმების დასრულებამდე.

ცვლილებით განისაზღვრა, რომ საქონლის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებული დებიტორული დავალიანება, რომელიც საწარმოს საღარო და საბანკო ანგარიშებზე არ ფიქსირდება, განიხილება საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემულ ხელფასად. ცვლილებამდე არსებული რედაქციით, საგადასახადო ორგანოს ინიციატივით, ამ ტიპის თანხებს, პირველადი შეფასებით, ენიჭებოდა ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული (პროცენტის ან უპროცენტო) სესხის, დივიდენდის ან/და ხელფასის კვალიფიკაცია.

მეთოდურ მითითებას „დებიტორული დავალიანების შესახებ“ ნაწილში დაემატა მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები, რომელიც საქონლის/მომსახურების მიმწოდებლისთვის გადახდილი ავანსის დაბეგვრას და საქონლის/მომსახურების შემქმნის მიერ აუნაზღაურებელი თანხის დაბეგვრას ეხება.

მე-6 მუხლის თანახმად განისაზღვრა, რომ გადახდილი ავანსი დაიბეგრება იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებით დგინდება, რომ საწარმოს, ავანსის გადახდიდან გონივრულ ვადაში, ფაქტობრივად არ აქვს მიღებული შესაბამისი საქონელი/მომსახურება და ასევე, არ დასტურდება ავანსის მიმღები პირის მხრიდან ავანსის თანხის/თანხის ნაწილის უკან დაბრუნების ფაქტი. საგადასახადო ვალდებულების მიერ მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსი/ავანსის ნაწილი, რომლის შესაბამისი საქონლის/მომსახურების მიღების ფაქტიც არ იქნება დადასტურებული საგადასახადო შემოწმების დანიშნის მომენტისთვის, დაკვალიფიცირდება, როგორც შესამოწმებელი პერიოდის ბოლოსთვის საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემული ხელფასი და დაექვემდებარება შესაბამის დაბეგვრას.

მე-7 მუხლის თანახმად, საწარმოში დაფიქსირებული საქონლის მიწოდებით/მომსახურების განვითარებით წარმოქმნილი მოთხოვნის დაბეგვრა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მისი წარმოშობიდან გასულია გონივრული ვადა და შემომწებით დგინდება, რომ საქონლის/მომსახურების მიმღების მიერ აღნიშნული დავალიანება არ არის ანაზღაურებული ან ანაზღაურებულია ნაწილობრივ და საგადასახადო შემომწების პროცესში ჩატარებული სალაროს ინვენტარიზაციის შედეგად ანაზღაურებული მოთხოვნის თანხის/თანხის ნაწილის საწარმოს სალაროში ან/და საბანკო ანგარიშებზე მიღების ფაქტი არ დადასტურდა. გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით/მომსახურების განვითარებით წარმოქმნილი მოთხოვნა/მოთხოვნის ნაწილი, რომლის ანაზღაურების ან შესაბამისი საქონლის უკან დაბრუნების ფაქტიც არ იქნება დადასტურებული შემომწების დანიშვნის მომენტისთვის, დაკვალიფიცირდება, როგორც შესამომწებელი პერიოდის ბოლოსთვის საწარმოს დირექტორზე (თუ არ არსებობს სხვა იდენტიფიცირებადი პასუხისმგებელი პირი) გაცემული ხელფასი დაექვემდებარება შესაბამის დაბეგვრას.

მე-8 მუხლის მიხედვით განისაზღვრა სპეციალური წესი, რის შედეგადაც აუდიტორი უფლებამოსილია, დებიტორული დავალიანებების მიმართ არ განსაზღვროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები, თუ პირზე/პირებზე, ამ მეთოდური მითითების შესაბამისად გადაკვალიფიცირებული თანხების ჯამი არ აღემატება:

- მცირე კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 1,000 ლარს
- საშუალო კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 10,000 ლარს
- მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 100,000 ლარს.

### კრედიტორული დავალიანება

ცვლილების შედეგად, „კრედიტორული დავალიანების შესახებ“ №8 დანართში დამატებული თავებით განისაზღვრა ზოგადი დებულებები, ოპერაციები და სპეციალური წესები. აღსანიშნავია ცვლილების შემდგომ დამატებული მე-3 მუხლი, რომელიც ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს, კერძოდ, ახალი მითითების მიხედვით ანაზღაურებულად ჩაითვლება ხარჯის 75%, თუ ხარჯზე, ან ხარჯის ნაწილზე, საგადასახადო შემომწების ფარგლებში ვერ იქნა მოპოვებული/დადგენილი ან/და წარმოდგენილი სრულყოფილი მტკიცებულებები, თუმცა, შესაბამისი ხარჯის ფაქტობრივად განვეის ნამდვილობა და საჭიროება არ არის სადავო.

მეთოდურ მითითებაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებლისთვის (კრედიტორისთვის) ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხის სრულად ანაზღაურებულად მიჩნევისთვის, გაფართოვდა გადასახადის გადამხდელის მიერ წარსადგენი დოკუმენტების/ინფორმაციის ნუსხა. კერძოდ, საგადასახადო შემომწების ფარგლებში წარდგენილი უნდა იქნეს ყველა შემდეგი მტკიცებულება:

- გადასახადის გადამხდელსა და არარეზიდენტ მომწოდებელს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება
- ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითაც დასტურდება შესაბამისი საქონლის შექენა და საქართველოში იმპორტი
- სამეურნეო ოპერაციის მხარეთა შორის გაფორმებული და დადასტურებული შედარების აქტი, შესაბამისი ოდენობის დავალიანების სრულად დაფარვის თაობაზე. ამასთან, შედარების აქტი მხარეთა მიერ დადასტურებული უნდა იყოს იმავე შინაარსის ოპერაციებთან მიმართებაში დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მათ შორის, ნოტარიულად, აპოსტილით ან/და სხვა ისეთი ფორმით, რომელიც მიღებულია შესაბამის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ან/და გათვალისწინებულია არარეზიდენტი მომწოდებლის ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით
- მიღება-ჩაბარების აქტი ან/და სალაროს გასავლის ორდერი, რომელშიც აღნიშნულია არარეზიდენტი მომწოდებლის ანგარიშვალდებული პირის ხელმოწერა, მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები, მასზე გაცემული თანხის ოდენობა და თანხის გაცემის თარიღი
- არარეზიდენტი მომწოდებლის ანგარიშვალდებული პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ პირის უფლებამოსილებას, არარეზიდენტი მომწოდებლის სახელით, მან მიიღოს რეალიზებული საქონლის ანაზღაურება გადასახადის გადამხდელისგან

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრასა და გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის დეკლარაციის შევსების წესს.

**მარიამ ხუსკივაძე**  
MKhuskivadze@bdo.ge

**მიხეილ ენუქიძე**  
MENukidze@bdo.ge

► ვრცლად [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიო პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

- არარეზიდენტი მომწოდებლის ანგარიშვალდებული პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამ პირის უფლებამოსილებას, არარეზიდენტი მომწოდებლის სახელით, მან მიიღოს რეალიზებული საქონლის ანაზღაურება გადასახადის გადამხდელისგან
- არარეზიდენტი მომწოდებლის ანგარიშვალდებული პირის მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის ფაქტი
- სარწმუნოდ (დამაჯერებლად, სანდოდ) დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ შექმნილი საქონლის ღირებულების საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობა.

მეთოდურ მითითებას დაემატა მე-6 მუხლი, რომელიც არეგულირებს ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი არარეზიდენტი მომწოდებლის დავალიანების სრულად გათვალისწინებას შემოსავლების და ხარჯების საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობის პირობებში. ამ მუხლის მიხედვით, იმპორტირებულ საქონელზე არარეზიდენტი მომწოდებლისთვის (კრედიტორისთვის) ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტის არასარწმუნოდ (არადამაჯერებლად, არასანდოდ) მიჩნევის შემთხვევაში, ან ასეთი დოკუმენტის არ არსებობისას, შესაბამისი (საბაჟო) ინვოისის მიხედვით არსებული საქონლის ღირებულება სრულად ჩაითვლება არარეზიდენტი მომწოდებლისათვის ანაზღაურებულად, თუ საგადასახადო შემოწმების ფარგლებში მოპოვებულია/დადგენილია ან/და წარმოდგენილია ყველა შემდგომი მტკიცებულება:

- ინვოისი და საბაჟო დეკლარაცია, რითაც დასტურდება შესაბამისი საქონლის შექმნა და საქართველოში იმპორტი
- გადასახადის გადამხდელის წერილობითი განმარტება, რაც აუდიტორის მხრიდანაც სარწმუნოდ (დამაჯერებლად, სანდოდ) იქნა მიჩნეული, რომ შესაბამისი დავალიანება მის მიერ დაფარულია სრულად და ამდენად, ადგილი არა აქვს საქონლის უსასყიდლოდ მიღების ან/და დავალიანების პატიების ფაქტს
- სარწმუნოდ (დამაჯერებლად, სანდოდ) დასტურდება განსახილველი იმპორტირებული საქონლის, როგორც შექმნის, ისე რეალიზაციის ღირებულებების საბაზრო პრინციპებთან შესაბამისობა.

ცვლილების შედეგად №8 დანართზე დამატებული მე-8 მუხლის თანახმად იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო შემოწმების შემდგომ დადგინდა, რომ თანხა/თანხის ნაწილი აუნაზღაურებელია, რომელიც ამავე მეთოდური მითითების შესაბამისად დაკვალიფიცირდა აუნაზღაურებულად, ჩაითვლება სანარმოს ანგარიშვალდებულ პირზე, ხოლო, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, დირექტორზე ან თუ გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირია, ამავე პირზე გაცემულ თანხად და მიეცემა შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების ადეკვატური კვალიფიკაცია. ამავედროულად, აუდიტორი უფლებამოსილია ამ მეთოდური მითითების შესაბამისად არასარწმუნოდ (არადამაჯერებლად, არასანდოდ) განხილული თანხები ჩათვალოს ანაზღაურებულად, თუ მათი ჯამი არ აღემატება:

- მცირე კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 1,000 ლარს
- საშუალო კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 10,000 ლარს

- მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელის შემთხვევაში - 100,000 ლარს.

**ცვლილება ძალაშია 2024 წლის 30 ოქტომბრიდან.**

## **გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის დეკლარაციის შევსების წესი**

2024 წლის 27 ნოემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N2380, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N2996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, შეიცვალა გადახდის წყაროსთან დაკავებელი გადასახადის დეკლარაციის შევსების ფორმა, კერძოდ დეკლარაციის III ნაწილის და დეკლარაციის დანართი „ა“-ს შევსების ფორმები.

ცვლილება შეეხო დეკლარაციის დანართი „ა“-ს, რომელიც საანგარიშო თვეში განხორციელებული განაცემებისა და დაკავებელი გადასახადის შესახებ ინფორმაციას ასახავს. ცვლილების შედეგად, მე-8 სვეტში ასახვას დაექვემდებარება მხოლოდ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელითა და ხარჯით მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანი. ცვლილებამდე აღნიშნულ სვეტში აისახებოდა ყველა სახის საგადასახადო შეღავათი რაც დადგენილია სსკ-ის 82-ე მუხლის შესაბამისად, მათ შორის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სახელითა და ხარჯით მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანიც. განახლებული ფორმატით, საპენსიო შენატანის გარდა ყველა სხვა შეღავათი ასახვას ექვემდებარება დანართის მე-9 სვეტში.

**აღნიშნული ცვლილება ძალაშია 2024 წლის 27 დეკემბრიდან.**